

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს სხდომის

ოქმი №1

ქ. თელავი

2017 წლის 13 თებერვალი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს თავმჯდომარე

გელა სეხნიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: გ. აივაზაშვილი, მ. ნაცვლიშვილი

დღის წესრიგი:

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თვითნებურად შექმნილი ნაგავსაყრელების დასუფთავება და კონტროლის გამკაცრება.

მომხ. გ. სეხნიაშვილი

მოისმინეს: 1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თვითნებურად შექმნილი ნაგავსაყრელების დასუფთავება და კონტროლის გამკაცრება.

მომხ. გ. სეხნიაშვილი

გ. სეხნიაშვილმა აღნიშნა, რომ თვითმმართველი თემის ტერიტორიაზე თვითნებურად შექმნილ ნაგავსაყრელებზე არის ანტისანიტარიული მდგომარეობა, რის გამოც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ნაგავსაყრელების გაწმენდას და ნაგვის გატანას, რაშიც იხარჯება ბიუჯეტის თანხები. ყოველივე ამის მიუხედავად, თითქმის ყველა სოფელში მოსახლეობის მიერ ხდება აღნიშნული ტერიტორიების ხელახალი დანაგვიანება, რაც ძალიან საწყენია და გამოდის, რომ ჩვენს მიერ გაწეული სამუშაოები და გამოყოფილი თანხები არის წყალში გადაყრილი.

აზრი გამოთქვას: გ.აივაზაშვილმა და მ. ნაცვლიშვილმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- დაადგინეს: 1. მუნიციპალიტეტში არსებულ ზედამხედველობის სამსახურებს დაევალოს გააძლიეროს კონტროლი არსებულ ნაგავსაყრელებზე, რათა ხელახლა არ მოხდეს ამ ტერიტორიების დანაგვიანება.
2. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოიძიოს თანხები ფარული კამერების შესაძენად, რომლებიც განთავსდება უკვე დასუფთავებულ ნაგავსაყრელებზე. ეს სათვალთვალო კამერები ხელს შეუწყობს ზედამხედველობის სამსახურის ეფექტურ მუშაობას, გამოვლინდებიან დამრღვევი მოქალაქეები და მოსახლეობაც თავს შეიკავებს აღნიშნული ტერიტორიების დანაგვიანებაზე.
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამგებლის წარმომადგენლებმა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე მოსახლეობასთან ჩაატარონ სათანადო აგიტაცია.

გადაწყვიტეს: აღნიშნული საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე მისი დროული რეაგირების მიზნით

ფრაქციის თავმჯდომარე



გ. სეხნიაშვილი